

შემუშავებულია: შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2018 წლის 16.04 N 20 დადგენილებით



დამტკიცებულია: შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20.04 დადგენილებით



შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ზაფხულის/ზამთრის სკოლის ჩატარების წესი

მუხლი 1. ძირითადი დებულებები

- წინამდებარე წესი განსაზღვრავს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) „ზაფხულის/ზამთრის სკოლის“ (შემდგომში „სკოლა“) ჩატარების წესს.
- სკოლის მიზანია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტებისა და მსმენელებისათვის აკადემიური პოტენციალის განვითარება.

მუხლი 2. სკოლის ადმინისტრირება

- სკოლის ადმინისტრირება ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ, რაც გულისხმობს სკოლის დაფინანსების/თანადაფინანსებისთვის სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფას, პროექტის განსახორციელებლად სახსრების მოზიდვას, ადამიანური რესურსითა და მატერიალურ ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფას, კომუნალურ და სხვა მომსახურებას.
- პროექტის ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აქტივით განისაზღვრება სკოლის ორგანიზატორების/თანაორგანიზატორების, კოორდინატორების/თანაკოორდინატორების, ტრენერების და მონაწილე პერსონალის (ადგილობრივი ან/და მონვეული უცხოელი/უცხოეთში მოღვაწე პროფესორის/დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირ(ებ)ის) შემადგენლობა და სკოლაში მონაწილეობის სხვა შემთხვევები.
- სკოლის პროექტი შესაძლებელია განხორციელდეს როგორც სასწავლო უნივერსიტეტის ასევე სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცეში. სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროექტის ჩატარების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი ურთიერთანამშრომლობის საბუძველზე იღებს ვალდებულებას სკოლის თანადაფინანსების შესახებ.

4. სკოლის ორგანიზატორი (ხელმძღვანელი) ვალდებულია სკოლის დასრულებისთანავე წარუდგინოს პროგრამული და ფინანსური ანგარიში სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

მუხლი 3. სკოლის ხანგრძლივობა და დაფინანსება

1. სკოლის განხორციელება მიმდინარეობს ერთი საბიუჯეტო წლის ფარგლებში
2. სკოლის ხანგრძლივობა არის არანაკლებ ერთდღიანი და არაუმეტეს ოცდაათი დღე.
3. სკოლის პერსონალზე გასაცემი შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით.
4. სკოლის/პროექტის ფარგლებში შექმნილი ქონება რჩება სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებაში.

მუხლი 4. ცვლილება/ დამატებები

წინამდებარე წესს შეიმუშავეს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

